



შპს აქვთიმა თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
გადაწყვეტილებით N4, 2016 წლის
18 თებერვალი ოქმი N1*

ბაკალავრიატის დებულება

I. ზოგადი დებულებები

1. ბაკალავრიატი არის აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური – სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, სტუდენტთა მომზადებას მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.
2. ეს დებულება არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამებზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

II. ბაკალავრიატის მიზნები და ამოცანები

1. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისათვის.
2. ბაკალავრიატში სწავლების სისტემა დაფუძნებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონსა და სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ და აღიარებულ პრინციპებზე. ბაკალავრიატის ამოცანებია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, დამსაქმებლის მოთხოვნებზე გათვლილი აკადემიური პროგრამების შემუშავება, პროფესიული საქმიანობისათვის სტუდენტის მომზადება, უნარ-ჩვევების გამომუშავება.
3. ბაკალავრიატის კონკრეტული მიზნებია:
 - ა) სტუდენტების თეორიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მომზადება პროფესიული საქმიანობის დასაწყებად ბაკალავრის ხარისხის ფარგლების კომპეტენციით
 - ბ) აუცილებელი თეორიული საფუძვლებითა და უნარ-ჩვევებით სტუდენტის მომზადება მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად

- გ) სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენა და მაქსიმალურად განვითარება, მათში გონივრული სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბება
- დ) სტუდენტებში პროფესიული კომპეტენციისა და სამოაქაო ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ინტელექტუალური რესურსის ფორმირება
- ე) მყარი მოტივაციური და ინტერექტუალური საფუძვლების მომზადება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის.

4. ბაკალავრიატის ძირითადი ამოცანებია:

- ა) დამსაქმებლის მოთხოვნებზე გათვლილი და ორიენტირებული აკადემიური პროგრამების შემუშავება-განხორციელება
- ბ) სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა
- გ) სასწავლო პროცესის ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება, შეფასებებისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) დანერგვა.

III. ბაკალავრიატში მიღებისა და სწავლის პირობები

1. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ან მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამის ფაკულტეტზე/საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მქონე პირთა სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
4. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

5. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება რექტორის აქტით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტის ოფოციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

6. აბიტურიენტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ (ვაჟების შემთხვევაში).

7. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

8. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართვს სასწავლო უნივერსიტეტს რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში უფლებამოსილია, მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო უნივერსიტეტში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

9. საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად სტუდენტი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში წარმოადგინოს:

ა) ეროვნული გამოცდების ცენტრის სერტიფიკატი (დედანი)

ბ) სრული ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტატი (დედანი)

გ) პირადობის მოწმობის ასლი

დ) 4 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად)

- ე) სამხედრო ვალდებულების მოწმობის ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის)
- ვ) შეავსოს სპეციალური განაცხადი – საბაკალავრო აპლიკაცია
- ზ) დარეგისტრირდეს სასწავლო წელზე და გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია
- თ) გააფორმოს ხელშეკრულება სასწავლო უნივერსიტეტთან.

IV. სემესტრული რეგისტრაცია და სასწავლო ბარათი

1. სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე დადგენილ ვადებში გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია:
 - ა) ადმინისტრაციული - სწავლის საფასურის გადახდით
 - ბ) აკადემიური - სასწავლო კურსების არჩევით (სასურველია სტუდენტმა გაიაროს წინასწარი აკადემიური რეგისტრაციაც – მომავალი სასწავლო სემესტრისათვის)
2. დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სასწავლო პროცესზე დაშვების შემთხვევაში სტუდენტს არ მიეცემა უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაგვიანებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებები) აღიარება.
3. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასში ცვლილებები შეიტანოს სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
4. სტუდენტის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და დაგროვილი კრედიტები ასახულია სტუდენტის სასწავლო ბარათში. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს თავის სასწავლო ბარათს.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას სტუდენტს წარედგინება საგნების ჩამონათვალი, საიდანაც შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნები. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტს გაეწევა კონსულტაცია და ეცნობება თუ რას უნდა შეადგენდეს მის მიერ არჩეული დისციპლინების კრედიტების ჯამი.
6. სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, სპეციალობათა ნუსხას, ინფორმაციას თითოეული სპეციალობის შესახებ და შესაბამის დისციპლინათა ჩამონათვალს, ფაკულტეტზე არსებულ სასწავლო კურსების სილაბუსებს.

7. სასწავლო უნივერსიტეტში დარგობრივი მიმართულების (სპეციალობის) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების, შეცვლის ან იმ შემთხვევებში, როდესაც აღარ წარმოებს პროგრამაზე სტუდენტთა ახალი კონტიგენტის მიღება (მიღევადი პროგრამები) ამ მიმართულებებზე ჩარიცხული სტუდენტი აგრძელებს სწავლას პროგრამის დასრულებამდე ან/და სურვილის მიხედვით სარგებლობს შიდა სასასწავლო უნივერსიტეტო და გარე მობილობის უფლებით.
8. სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს ან შეცვალოს ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობები, გარდა რეგულირებადი დარგებისა.

V. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღებისა და ჩარიცხვის წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტი ავტორიზაციის შედეგად დადგენილ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის.
2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მისანიჭებელ შესაბამის კვალიფიკაციასთან.
3. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
4. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.
5. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე აბიტურიენტი ან სტუდენტი, რომელსაც სურს სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, სასწავლო უნივერსიტეტს ეკავშირდება საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრების დაწყებამდე არანაკლებ 3 კვირით ადრე.

6. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც სურვილს გამოთქვამს სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე, უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ და ფინანსურ მოთხოვნებს.

7. სასწავლო უნივერსიტეტში მისაღებად სრულყოფილად შევსებულ და ხელმოწერილ სააპლიკაციო ფორმას თან უნდა ერთვოდეს:

ა) საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარების შემთხვევაში – ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ნიშნების ფურცლით (ორიგინალი და აპოსტილით დამოწმებული ასლი).

საბაკალავრო პროგრამის მე-2-ე – მე-4-ე წელს გადმოსვლის შემთხვევებში – ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ნიშნების ფურცლით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანება და სასწავლო ბარათი (ორიგინალი და აპოსტილით დამოწმებული ასლი).

ბ) ინგლისური ენის ცოდნის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS)

გ) დაბადების მოწმობის ასლი (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)

დ) პასპორტის ასლი (ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)

ე) ცნობა ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხოეთში ცხოვრების შესახებ

ვ) საბანკო დოკუმენტი – სადაც ნაჩვენებია იქნება აპლიკანტის საქართველოში ცხოვრებისა და სწავლის ღირებულების გადახდის ფინანსული შესაძლებლობები.

ზ) ჯანმრთელობის ცნობა

თ) 4 ფოტოსურათი 3X4 (+ ელექტრო ვერსია)

ი) განაცხადები აპლიკანტის ხელმოწერით სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელზე – სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის სურვილის შესახებ.

8. აბიტურიენტის (სტუდენტის) ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების პროექტს დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი განსახილველად უგზავნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. საბოლოო გადაწყვეტილებას სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ იღებს სასწავლო უნივერსიტეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადებითი დასკვნის საფუძველზე. ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება აპლიკანტს, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე შეაქვს სწავლის საფასური, ღებულობს საქართველოში ცხოვრების უფლებას და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსს.

VI. საგანმანათლებლო პროგრამები

1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ) სფეროს აღწერა;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ლ) სწავლის შედეგი;
- მ) დასაქმების სფერო;
- ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ო) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- ჟ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

2 პროგრამას თან უნდა ახლდეს:

- ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
- ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი შედეგები:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის გაკეთების უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები;

4. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

7. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) კურსის განმახორციელებელი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი);

გ) სასწავლო კურსის მიზნები;

დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;

ე) დაშვების წინაპირობები;

ვ) სწავლის შედეგები;

ზ) სასწავლო კურსის შინაარსი;

თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;

ი) შეფასების კრიტერიუმები;

კ) სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა.

8. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია შეცვლილი სილაბუსი წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

9. სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამებს შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით. პროგრამის განხილვა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

10 საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში.

VII. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

1. სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამით სწავლების განსაზღვრული სტანდარტული ვადაა 4 სასწავლო წელი, ანუ 8 სემესტრი, რომლის განმავლობაშიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. ერთი აკადემიური სასწავლო წელი შედგება 38 - სასწავლო კვირისაგან, საიდანაც 30 სასწავლო და 8 სასესიო კვირაა (თითოეულ სემესტრში 15 სასწავლო და 4 სასესიო კვირა)

2. ბაკალავრიატში სწავლება შეიძლება გახანგრძლივდეს, თუ:

ა) სტუდენტმა ვერ ჩააბარა რამოდენიმე საგანი და მას მოუწია ხელახლა აღება

ბ) დადგენილ დროში ვერ დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გ) სტუდენტმა შეიჩერა სტუდენტი სტატუსი

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ფაკულტეტზე ყალიბდება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით და შეესაბამებიან კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს კრიტერიუმებს. საბაკალავრო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს პროგრამის მიზნები, მისი ადგილი განათლების უწყვეტ ციკლში, პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი. გარდა ამისა, პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) სწავლის შედეგი – ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, მისი ზოგადი ცოდნის დონე, კომპეტენცია და უნარ-ჩვევები;

ბ) დასაქმების სფეროები, სადაც რეკომენდირებული იქნება აღნიშნული პროგრამით კურსდამთავრებულის შრომითი საქმიანობა.

გ) სწავლის შემდგომი გაგრძელების სფერო სამაგისტრო პროგრამებზე

დ) პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

VIII. საბაკალავრო პროგრამის ფორმატი

1. სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს საშუალებას დაეუფლოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სპეციალობებს.
2. ძირითადი სპეციალობა (Major) სტუდენტისათვის მაპროფილებელი სპეციალობაა, რომელშიც მას ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ძირითადი სპეციალობის განმსაზღვრელ საგნებს ეთმობა არანაკლებ 120 კრედიტი, რეგულირებდ საგანმანათლებლო პროგრამებზე-მინიმუმ 180 კრედიტი.
3. დამატებითი სპეციალობა (Minor) სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს. დამატებითი სპეციალობის მიღებით სტუდენტი იძენს საბაზო დარგობრივ ცოდნასა და კომპეტენციას, რომლებიც ეხმარებიან შრომით მოწყობასა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებაში. დამატებითი სპეციალობა მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს.
4. დასაშვებია ორი ძირითადი ან ერთი ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობის კომბინაცია.
5. ძირითადი და დამატებითი სპეციალობების არჩევის საკითხს წყვეტს სტუდენტი. ძირითადი სპეციალობის არჩევა ხდება სწავლის მეორე წლის მესამე სემესტრიდან.

IX. სტუდენტთა მობილობის წარმართვა

1. სხვადასხვა სასწავლო პროგრამებზე სტუდენტთა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის შიგნით სხვადასხვა პროგრამებზე გადასვლის პროცესს არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა, სასწავლო უნივერსიტეტის წესდება.
2. სტუდენტს უფლება აქვს სწავლების პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა; შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტი; შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე; შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
3. სხვა უმაღლეს სასწავლებლიდან სტუდენტთა გადმოსვლა ან პირიქით სასწავლო უნივერსიტეტიდან სხვა სასწავლებელში გადასვლა უნდა განხორციელდეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, შესაბამისი კანონმდებლობით

გათვალისწინებულ ვადებში. ამისთვის აუცილებელია სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიები დაფიქსირებულ იქნას სსსკ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

X. კრედიტების სისტემა და სწავლის შედეგების შეფასება

1. კრედიტი წარმოადგენს სტუდენტის დატვირთვის საზომ პირობით ერთეულს, რომელიც ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგის მისაღწევად.
2. სტუდენტის დატვირთვა არის დრო, რომელიც ესაჭიროება ისეთი სასწავლო საქმიანობის განხორციელებას, როგორცაა - ლექციები, სემინარები, პრაქტიკულები, ლაბორატორიული სამუშაოები, სემინარებისათვის, შუალედური და საბოლოო გამოცდებისათვის მზადება, რეფერატის, პროექტის, პრეზენტაციის მომზადება, საწარმოო პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და სხვა.
3. ერთი კრედიტი უდრის 25 საათს, საიდანაც საათები გადანაწილებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებზე.
4. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240
5. სწავლის შედეგების შეფასება.

სასწავლო უნივერსიტეტი შეფასებას განიხილავს როგორც სწავლების შედეგის ხარისხის შესახებ ინფორმაციას. შეფასების მიზანია ხარისხობრივად განისაზღვროს სტუდენტის სწავლების შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების პრინციპებია:

- ა) გამჭვირვალობა – ინფორმაცია შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის. სტუდენტს წლის დასაწყისშივე ეცნობება როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა;
 - ბ) სისტემატიურობა - შეფასება არ არის ერთჯერადი აქტი, ის პროცესია, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს მუდმივ მზადყოფნას გამოავლინოს საკუთარი ცოდნა და უნარი, ხოლო პედაგოგს - განახორციელოს მონიტორინგი სტუდენტის ცოდნის შექმნისა და განვითარების პროცესზე;
 - გ) სამართლიანობა - სტუდენტის ცოდნის შეფასებისადმი ერთიანი სტანდარტებით მიდგომა.
7. შეფასების სტრუქტურა

შეფასების სტრუქტურა – მოდულის/საგნის ფარგლებში იყოფა ორ – შუალედურ და შემაჯამებელ ელემენტად. შუალედური ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად. ყოველი კონკრეტული შეფასება ეყრდნობა ორივე ელემენტის ჯამურ შედეგს. შესაძლებელია ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს განსხვავებული რაოდენობის შუალედური შეფასებები.

შეფასების ზოგად კრიტერიუმებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონკრეტული მოდულის/საგნის სილაბუსში. მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია კრიტერიუმების დაზუსტება.

შეფასება ხდება ქულათა სისტემით – თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია – 51 ქულა.

სტუდენტს გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ დასკვნით გამოცდაზე მიიღებს ამ კომპეტენციისათვის დადგენილ ქულათა არანაკლებ 51 პროცენტს.

სტუდენტი გამოცდაზე ჩაჭრილად ჩაითვლება:

ა) თუ დასკვნით (განმეორებით) გამოცდაზე მიიღებს ამ კომპეტენციისათვის დადგენილ ქულათა 51 პროცენტზე ნაკლებს

ბ) არ გამოცხადდება დანიშნულ გამოცდაზე არასაკმარის მიზეზით ან/და გამოცხადდება და გამოცდის მსვლელობისას დატოვებს გამოცდას, ან მოიხსნება გამოცდიდან სხვისი ნაშრომის თუ დაუშვებელი ჩანაწერების გამოყენებისათვის.

გ) დატოვებს აუდიტორიას გამოცდის ჩაშლის მცდელობის ან საგამოცდო განაწესის გამო

დ) დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს წერით ნამუშევარს

ე) გამოცდაზე მუქარის, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედების, მოტყუების ან სხვა დაუშვებელი ხერხებით შეფასების მიღებისას

სტუდენტს აქვს განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლება:

ა) თუ იგი ჩაიჭრა სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე და მისი შეფასებათა ჯამი მეტია 40 ქულაზე

ბ) სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ არსებობს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საკმარის მიზეზი

გ) საბაკალავრო ნაშრომის არადაამაკმაყოფილებლად შეფასებისას მისი განმეორებით წარმოდგენის საკითხს იმავე სემესტრში წყვეტს რექტორი - ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით

დ) სტუდენტი განმეორებით გამოცდაზე დაიშვება მიმდინარე სემესტრის გამოცდების დასრულებიდან 10 დღიან ვადაში - ფაკულტეტის მიერ გამოცდისათვის დადგენილ დღეს.

ე) ძირითად და განმეორებით გამოცდებზე არასაკმაყოფილო მიზეზით გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის დამატებითი გამოცდის დანიშვნა ინდივიდუალური წესით დაუშვებელია

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი ევროპული კრიტერიუმების შესაბამისად, აქედან 5 დადებითია, 2 უარყოფითი:

- ა) ფრიადი (A) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 91-100%
- ბ) ძალიან კარგი (B) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 81-90%
- გ) კარგი (C) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 71-80%
- დ) დამაკმაყოფილებელი (D) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 61-70%
- ე) საკმარისი (E) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 51-60%
- ვ) ვერ ჩააბარა (Fx) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 41-50%
- ზ) ჩაიჭრა (F) - სემესტრული შეფასების ქულათა ჯამი - 0-40%

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ გამოცდაზე გამოვლენილი ცოდნის დონე, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.